



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000014585948318

№ ს-108

24 / იანვარი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

"თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე" მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 8 დეკემბრის #ს-779 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. "თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე" მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 8 დეკემბრის #ს-779 ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

"1¹. კომისიის აპარატი:

- **ელისო ოქროპირიძე** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- **ქეთევან ბერუაშვილი** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის და აღრიცხვის განყოფილების მე-4 რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;
- **ქეთევან ბარბაქაძე** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის განათლების და კულტურის განყოფილების მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი კაპანაძე